I აგვისტო

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი ეპ. და მოძ., +1787, (მ), თ

2019 ხუთშაბათი

გამ 40,16-21.34-38; ფს 83; მთ 13,47-53

უფლის დიდებამ აღავსო სავანე გამ 40,35

მისი "დიდების" ღრუბელი, უფლის მყოფობის ნიშანი, დავანებული იყო უდაბნოში მყოფ ხალხზე. გასაოცარი, კურთხეული მყოფობა: ანათებდა გზას, იცავდა მტრებისგან, ავსებდა სავანეს, თავად უფალმდა რომ ისურვა. ღრუბელი არის ნიშანიც სულიწმიდისა, რომელიც წინ უძღვის, იცავს, აღავსებს კაცთა შორის ღმრთის ახალ სავანეს, ეკლესიას.

2 აგვისტო

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. ევსები ვერჩელელი, ეპ., +372;
წმ. პეტრე ივლ. ეიმარდი, ხუც., +1868;
(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამ., +~1227

2019

პარასკევი

ლევ 23,1.4-11.15-16.27.34-37; ფს 80; მთ 13,54-58

არ მოუხსენია იქ მრავალი სასწაული მათი ურწმუნოების გამო მთ 13,58

სწორედ იქ, სადაც გაიზარდა, იესო ებრძვის ამ "ურწმუნოებას": მათ შორის გაზრდილი, როგორც ერთ-ერთი მათგანი, თავისი ხალხისთვის იყო დაბრკოლება, რომ ღმრთის ძედ მიეღოთ. როდესაც ვიღაც, ვინც იესოს იღებს, სულიწმიდის მატარებელი ხდენა, მისიანები რთულად იღებენ მას მისი ამ ახალი ცხოვრებით. იესოს ესმის მათი და მათთვისაც გასცემს თავს.

2019 შაბათი

ლევ 25,1.8-17; ფს 66; მთ 14,1-12

მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი ლევ 25,17

უფალი, თავის ერს რომ ესაუბრება მოსეს მეშვეობით, ასე ასრულებს თავის რჩევა-დარიგებას, რომ მუდამ გულმოწყალენი იყვნენ ძმის მიმართ; და შეახსნებს, რომ იგია უფალი, ის, ვის მიმართაც მოსეც კი სრულიად მოვალეა. იესო ეკლესიას მოუხმობს სულ უფრო დიდი სიყვარულისკენ, მტრების მიმართც კი, და ამას აქცევს ნიშნად, რომ მას ეკუთვნოდნენ, და საშუალებად, რომ გულით ატარებდნენ.

ეკლ 1,2; 2,21-23; ფს 89; კოლ 3,1-5.9-11; ლკ 12,13-21

ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული ლკ 12,15

იესო პასუხობს იმ ვიღაცას, ვინც სთხოვა, მისი ძმა დაერწმუნებინა ქონების გაყოფაში. მნიშვნელოვან იგავს რომ მოუთხრობს, ამით იესო მას აძლევს პასუხს, რომელიც მის მოლოდინებს აღემატება, პასუხს, რომელიც ჩვენს გვანათლებს. ჩვენი რეალიზაცია ამქვეყნიურ ქონებაზე როდია დამოკიდებული, არამედ იმ ურთიერთობაზე, ჩვენს ზეციერ მამასთან რომ გვაქვს: როდესაც სიმდიდრეც ემსახურება მის სიყვარულს, ის აღარაა ჩვენი გულის ბორკილი.

5 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა
(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი

2019 ორშაბათი

რიცხ 11,4-15; ფს 80; მთ 14,13-21

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

მომკალი, თუ რამ მადლი ვპოვე შენს თვალში

რიცხ 11,15

მოსე გულს უღებს თავის უფალს: დავა-
ლება, რომელიც მას მიანდო, ძალზე დიდ
ტვირთად ეჩვენება და სთხოვს, რომ შვება
მოჰგვაროს სიკვდილით. ჩემი უძლურების
წინაშე, ხშირად რომ მტანჯავდა, მე ბევ-
რჯერ გავუღე გული იესოს და ვთხოვე,
რომ მოსულიყო და გულში ჩავეკარი. იესო
მუდამ მისმენდა: არც სიცოცხლე წამართვა
და არც ჩემი უძლურება, იგი მოვიდა, რომ
ჩემს გვერდით ყოფილიყო.

6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი, მონაზონი, +1041

2019 სამშაბათი

დან 7,9-10.13-14; ფს 96; 2პეტ 1,16-19; ლკ 9,28-36

მოძღვარო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა ლკ 9,33

იესომ მათ მოუხმო ხანგრძლივი ლოცვისკენ: ცხადია, ესაა მისი საუკეთესო შეხვედრა მამასთან. სამ მოწაფეს კი აღარ უნდოდა წასვლა... მეც, ჯერ კიდევ ყმაწვილი, მიმიწვია მღვდელმა ლოცვის ყოველკვირეულ შეხვედრაზე: ვკითხულობდით მომდევნო კვირის საკითხავებს, მცირე ხანს სიჩუმეში ვიყავით, შემდეგ კი მადლობას ვწირავდით უფალს. ეს ყოველთვის დიდ სიხარულს მანიჭებდა.

7 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ., +258;
წმ. კაეტანე, ხუცესი, +1547

2019 ოთხშაბათი

რიცხ 13,1-3.25-14,1.26-30.34-35; ფს 105; მთ 15,21-28

თაყვანი სცა და უთხრა:
"მიშველე, უფალო!" მთ 15,25

იესო, გიმზერთ შენი ცხოვრების იმ ეპიზოდში, დღეს რომ ვკითხულობთ: შენ თავისუფალი ხარ ადამიანებისგან და მათი რეაქციებისგან; მამისადმი მორჩილებით მოქმედებ, დარწმუნებული, რომ მხოლოდ მას უყვარს ჭეშმარიტად. შენ ხედავ ქალს, თავისი ასულის სნეულების გამო რომ იტანჯება და შენს წინაშე მდაბლად რომ იხრება, და ხედავ მის ჭეშმარიტ რწმენას შენ მიმართ: შენ მას პასუხობ შენი ღმრთიური სიყვარულით, რომელიც ათავისუფლებს და იხსნის.

8 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. დომენიკე, ხუცესი, +1221, (მ), თ

2019 ხუთშაბათი

რიცხ 20,1-13; ფს 94; მთ 16, 13-23

იმაზე კი არ ფიქრობ, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია მთ 16,23

არ ვისურვებდით, რომ იესოს იგივე ეთქვა ჩვენთვის, რაც პეტრეს უთხრა, იმ დღეს... როდესაც როდესაც ძმის მხრებზე მძიმე ჯვარს დავინახავთ, დავეხმაროთ მას, რომ სიყვარულით შეხედოს მამას. შევახსენოთ მას, რომ ღმერთს ის სჭირდება როგორც თავისი სასუფევლის ძვირფასი თანამშრომელი, ღმრა ერთობაში იესოსთან, რომელმაც სწორედ ჯვარზე დაგვიხსნა.

9 აგვისტო

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა,

(ედიტ შტაინი), ქალწ. და წამ., + 1942, ევროპის მფარველი, დ, [ს], წ

2019 პარასკევი

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

დაგნიშნავ ჩემს ერთგულებაში
და შეიცნობ უფალს ოს 2,22

ქალწული და წამებული წმ. ტერეზა ბენედიქტა ჯვრისა შეგვახსენებს ჩვენი შემოქმედისა და მამის ჩანაფიქრს: მან ჩაიფიქრა, რომ თითოეული ჩვენგანი, თავის ეკლესიაში, ექცია მთელი თავისი სიყვარულის საგნად: მას სურს თავი გასცეს ჩვენთვის, როგორც ნეფე გასცემს სასძლოსთვის. უფლის შეცნობა და მისი სიყვარულის საოცარ ძღვენთა მიღება ჭეშმარიტი საუკუნო სიცოცხლეა, ახლაც და ზეცაშიც.

10 აგვისტო

წმ. ლავრენტი, დიაკ. და წამ. +258, დ, [ს], წ;
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

2019 შაბათი

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს 2კორ 9,7

თუკი გაცემაში არ არის სიხარული, მაშინ არც სიყვარულია. თუკი უსიხარულოდ ეხმარებიან, მაშასადამე უგულოდ, ეს სხვისი დამცირებაა; თუკი უხალისოდ უსმენენ ან დროს უთმობენ, მაშინ გაგებით არ ეკიდებიან სხვას. ღმერთს უყვარს ის, ვისაც სხვამდე მიაქვს მისი მამობრივი სიყვარული, მისი სიფაქიზე, მისი სიმხურვალე და მისი გულში ჩაკვრა. წმიდაო ლავრენტი, მამის საყვარელ უმცირესთა მსახურო, გვიმეოხე, რათა ეკლესიამ – მასში მეც, ყველაზე უწინ – სიხარულით ჩაიცვას "სამუშაო ხალათი".

11 აგვისტო

2019 კვირა

სიბრძ 18,6-9; ფს 32; ებრ 11,1-2.8-19; ლკ 12,32-48

ვისაც მეტი ანდეს, მას მეტსაც მოსთხოვენ ლკ 12,48

რა მომცა უფალმა? რასაკვირველია, ყოველი ის ადამიანი, რომელსაც შევხვდები: ჩემი მეუღლე და შვილები, მეზობლად მყოფი სნეული მრევლი, კოლეგა, რომელიც ჩემთან ერთად ელოდება ლეტროს, ჩრმი მეგობრები და მაღაზიის კლიენტი... ყოველი მათგანი ძვირფასია მის თვალში და თითოულის მიმართ იგი მაძლევს თავისი სიყვარულის ნაწილს გასანაწილებლად. მეც ვიღაცისთვის ვარ მიცემული: გმადლობ და გევედრები მათი სიყვარულისმიერი პასუხისმგებლობისთვის.

12 აგვისტო

2019 ორშაბათი

რჯულ 10,12-22; ფს 147; მთ 17,22-27

გეშინოდეს უფლის, შენი ღმერთის, მას ემსახურე, მას მიეწებე რჯულ 10,20

მეორე რჯული, საიდანაც აღებულია დღევანდელი სტრიქონი, ერთ-ერთია ბიბლიის პირველი ხუთი წიგნიდან, რომ-ლებიც ხუთწიგნეულს ქმნიან. ის შეიცავს მრავალ მითითებას, მოსე რომ აძლევს უდაბნოში მყოფ ხალხს: ვინაიდან მოისუ-რვა, განესწავლა იგი მასთან ცხოვრები-სათვის. გადავფურცლოთ წმიდა წერილი, წავიკითხოთ ეს მშვენიერი გვერდი: მა-შინ კი შევგულიანდებით, რომ ჯანსაღი ურთიერთობა გვქონდეს უფალთან.

13 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუც., წამ., + 235
(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018

2019 სამშაბათი

რფლ 31,1-8; ფს: რფლ 32,3-4.7-9.12; მთ 18,1-5.10.12-14

გამაგრდი და განმტკიცდი რფლ 31.6

მოსე, რომელიც უფლისგან მინდობილ დავალებას ასრულებს, ამ სიტყვებით აგულიანებს ხალხს. საინტერესოა მისი უეცარი გადასვლა 'თქვენობითი' ფორმიდან 'შენობითზე': "...განმტკიცდი, რადგან თავად უფალი, შენი ღმერთია შენთან; არ მოგშორდება და არ მიგატოვებს" . უდაბნოში მყოფი ხალხი არის წინასწარმეტყველება ეკლესიაზე, სასძლოზე, ღმრთის ძე რომ მიუძღვის და გვერდში უდგას, რომელიც არასდროს მიატოვებს.

რფლ 34,1-12; ფს 65; მთ 18,15-20

სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ, მათ შორის მთ 18,20

სადაც შენ ხარ, იესო, იქ ყველაფერია: იქაა მამა, რომელიც თავის სიყვარულსა და სიცოცხლეს გადმოღვრის. მეც შევეცდები, რომ შენი მყოფობის 'იარაღი' ვიყო: შემოვუ-ერთდები შენს ეკლესიას, რომელიც შენს საიდუმლოებებს ზეიმობს; ვითხოვ, რომ შენ აკურთხო ჩემი უმნიშვნელოვანესი და ასევე მცირე, ყოველდღიური გადაწყვეტილებები. ამისათვის უფლის კურთხევამ მთელი ცხო-ვრება უნდა მოიცვას... კურთხევა!

15 აგვისტო

2019 ხუთშაბათი

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის
ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს ყ4; 1კორ 15,20-26; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა

იზეიმა ჩემმა სულმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში ლკ 1,47

დღეს, მარიამ, შენს სიხარულს ვზეიმობთ. იესო უკვე გთავაზობს იმ ძღვენს, რომელსაც ყველა ჩვენგანსაც მოუძღვნის, რომელთაც მისი გვწამს, იმ ძღვენს, რომლის გამოც სრულად გასცა თავი ჯვარზე: იგი შენ გღებულობს, სულითა და ხორცით, საუკუნო სიცოცხლეში, ღმერთში. ახლა შენ ხარობ ამ ხსნისათვის, და ყველას გველოდები, შვილების მომლოდინე დედასავით. ყოვლადწმიდა მარიამ, ზეცად აღყვანებულო, იგალობე დიდება და გვიმეოხე ჩვენ!

16 აგვისტო

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების სახ. კათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა,

დდ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

წმ. სტეფანე უნგრელი, +1038; (3.VIII) წმ. რაჟდენ მოწამე, +457

2019 პარასკევი

იესო 24,1-13; ფს 135; მთ 19,3-12

ვინც თავის ცოლს გაუშვებს, მრუშობს მთ 19,9

ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, ქმარი ან ცოლი ღმერთის დიდი ძღვენია, რომელიც სიხარულით ავსებს ჩვენს ცხოვრებას, სიყვარულის შემძლეებად გვაქცევს მთელი ჩვენი არსებით და რომლის ყალობითაც ნაყვარებნი ვართ. ყოველგვარი აზრი და გრძნობა ამ სიყვარულით უნდა იყოს დაკავებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთს შეურაცხვყოფთ.

17 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

2019 შაბათი

იესო 24,14-29; ფს 15; მთ 19,13-15

გეშინოდეთ უფლისა, ემსახურეთ მას წრფელად და ერთგულად

იესო 24,14

იესო ნავეს ძის ამ მოხმობაზე ხალხი მტკიცედ პასუხობს: "არ იქნება ჩვენგან უფლის დავიწყება, უცხო ღმერთების სამსახური". ეს მტკიცე ნება შეახსენებს იმას, რაც უფალმა აღასრულა, რომ გაძღოლოდა მას, დაეხსნა და დაეცვა იგი. როდესაც ამას დაივიწყებენ, და მრავალჯერ მოხდება ასე, მაშინ ღალატს ჩაიდენენ.
გმადლობ, მამაო, შენი ერთგულებისა და სიყვარულისათვის, მეც რომ მელოდება სულმუდამ.

18 აგვისტო

2019 კვირა

იერ 38,4-6.8-10; ფს 39; ებრ 12,1-4; ლკ 12,49-53

გგონიათ, ქვეყანაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი ლკ 12,51

იესო, მე მგონია, რომ კი, შენ მშვიდობა მოიტანე სამყაროში. მაგრამ, არა იმის მშვიდობა და სიმშვიდე, ვინც მუდამ ამბობს და ვინმეს ეუბნება, პირველ რიგში საკუთარ თავს: "კარგი, მშვიდობით გააკეთე ის, რასაც ფიქრობ!". შენ სხვანაირ მშვიდობას მანიჭებ: ვგრძნობ, რომ ის ჩემში და ჩემს გარშემო იბადება, როდესაც მამის სიყვარულს ვღებულობ, თუნდაც ჩემს თავკერძობაში სიკვდილის ფასად, სიყვარულის მკვლელთაგან ჩამოშორების ფასადაც კი.

19 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი, +1680

2019 ორშაბათი

მსჯ 2,11-19; ფს 105; მთ 19,16-22

მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს? მთ 19,16

ადამიანი, რომელმაც ეს კითხვა დაუსვა იესოს, საუბრობს უფლისგან მოცემული მცნებების დაცვაზე, როგორც პირველ ნაბიჯზე, რომ უკვე ამ ქვეყნად შეაბიჯო სიცოცხლეში. შემდეგ მას უჩვენებს ბოლო ნაბიჯსაც: მიატოვოს ყველაფერი და გაჰ-ყვეს მას. გმადლობ, სულო წმიდაო, რომ კვლავ აძლევ ამ ძღვენს ეკლესიას, რომ დღესაც მოუხმობ რომელიმეს მისი შვილე-ბიდან, რომ გაჰყვეს იესოს!

20 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. ბერნარდ კლერვოელი,
აბატი და ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

2019 სამშაბათი

მსჯ 6,11-24; ფს 84; მთ 19,23-30

ღვთისათვის ყველაფერია შესაძლებელი მთ 19,26

რასაკვირველია, ღმერთისთვის ყველა-ფერი შესაძლებელია. თუმცა, თუკი ისეთ რამეს არ აკეთებს, რაც ჩვენ გვინდა, ასე ჩვენს ფიბრზე კი არ იქცევა, არამედ იმი-ტომ, რომ ვუყვარვართ. ყველაფერი შეი-ძლება გარდა იმისა, რომ არ ვუყვარდეთ. სიყვარულია ისიც, რომ იგი პატივს სცემს ჩვენს თავისუფლებას და ელოდება წუთს, როდესაც დავანებებთ მას, რომ ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდეს. მაშინ იგი ჩაიდენს სასწაულებს, დაგვიხსნის ბორკილებისგან და პირობებისგან და მართლაც თავიასია-ნებად გვაქცევს სიხარულში.

21 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914, (მ), თ

2019 ოთხშაბათი

მსჯ 9,6-15; ფს 20; მთ 20,1-16

თქვენც წადით ჩემს ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთ მთ 20,4

მამაო, დღეს შენ მოგვიხმობ ყველა ჩვენგანს, რომ შენს ვენახში ვიშრომოთ. სიხარულით მოვდივართ: ამ დღის ყოველგვარი საქმე და მსახურება - სკოლა? ხანგრძლივი სიმარტოვე? საავადმყოფოს პალატაში ლოდინი? ... - ამ ყველაფერს შენ გიძღვნით, რომ მოვიდეს შენი სასუფეველი და ხსნა! შენ მამობრივი სამართლიანობით გვექცევი: მთელ შენს თავს, მთელ შენს სიყვარულს გვიძღვნი!

22 აგვისტო

2019 ხუთშაბათი

მსჯ 11,29-39; ფს 39; მთ 22,1-14

ვარგავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მრავლად არიან ხმობილნი, რჩეულნი კი ცოტა მთ 22,14

იესოს მიერ მოყოლილი იგავიდან ცხადად ვიგებთ, რომ უფალს როდი სურს, მცი-რედნი იყვნენ რჩეულნი. ვინაიდან იგი ყვე-ლას მოუხმობს, "ცუდებსაც და კარგებსაც", და საქორწინო სამოსელსაც იძლევა, რათა ღირსნი გახადოს ისინი, რომ მის სიხა-რულს ეზიარონ. წვეულთა გულგრილობა, სხვა საქმეთა მიმართ მათი ინტერესი და ქედმაღლობა, რომ არ მიიღონ მისი მიტე-ვება, აბრკოლებს მათ. დღეს ვის მივანიჭო აზრი: უფალს, რომელსაც ვუყვარვართ, თუ ჩემს საქმეებს?

23 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

წმ. როზა ლიმელი, ქალწ., +1617

2019 პარასკევი

რუთ 1,1.3-6.14-16.22; ფს 145; მთ 22,34-40

რომელიც უდიდესი მცნება რჯულში? მთ 22,36

ასეთი შეკითხვა, რომლითაც იესოს მტრებს უნდოდათ მისი მახეში გაბმა. მაგრამ იესო მშვიდად და მტკიცედ პასუხობს მათ: "გიყვარდეს...". ესაა მამის ნება ყოველი ადამიანის მიმართ, ყოველგვარ ვითარებაში. მოდი, სულო წმიდაო, აქციე ჩვენი ცხოვრება სიყვარულად, ძღვენად მამის მიმართ ჩვენი ძმებისათვის.

24 აგვისტო

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

2019 შაბათი

გამოცხ 21,9-14; ფს 144; იო 1,45-51

აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა იო 1,47

პირფერობა, ორპირობა, განსხვავება შინაგანსა და გარეგანს შორის, მზაკვრობა ისაა, რასაც იესო პოულობდა და ებრძოდა თავისი ერის მრავალ ადამიანში. მაგრამ ასე არ იყო ნათანაელთან და ამით ხარობს იგი. ვინაიდან ნათანაელი მართლაც ელოდება საუკუნოდ აღთქმულ მაცხოვარს და მას ღებულობს ისეთს, როგორადაც არის გაცხადებული: იესო ნაზარეველის უბრალოებაში შეიცნობს ღმრთის ძეს, ისრაელის მეფეს.

25 აგვისტო

2019 კვირა

ეს 66,18-21; ფს 116; ებრ 12,5-7.11-13; ლკ 13,22-30

უფალო, ნუთუ ცოტანი გადარჩებიან? ლკ 13,23

იესო, შენ არ პასუხობ რიცხვებით, არ აკმაყოფილებ ცარიელ ცნობისმოყვარეობას. შენთვის უმთავრესი ჩვენი გამოსყიდვაა. მეც მითხარი დღეს: ნუ გადაჰყვები წვრილმანებს, რომლებიც მოგატყუებს. მტკიცედ იარე შენი მიზნისკენ, მარადიული სიხარულისკენ, რომელიც მამა და მე მოგიმზადეთ. გულმოდგინედ ილოცე, მომენდე, ახლოს მამყოფე, რომ მორჩილი ვიყო სულიწმიდისა, შემდეგ მე მომანდე, რომ სიხარულითა და იმედით ვიცხოვრო.

26 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I] მწ

2019 ორშაბათი

1თეს 1,1-5.8-10; ფს 149; მთ 23,13-22

ვიცით თქვენი რჩეულება, ღვთის საყვარელო ძმანო 1თეს 1,4

პავლე, სილოვანე და ტიმოთე უფალს აკურთხებენ: ვინაიდან ხედავენ მის სიყვარულს, იმათ ცხოვრებაში რომ მოქმედებს, ვინც მათგან მიიღეს სახარების უწყება. დღესაც იესო პირველ ადგილზეა თავის მოწაფეთა სიტყვითა და საქმით: ვინც სიმდაბლით იღებს მათ უწყებას, შეიცნობს მას, მის სიყვარულსა და მისმიერ ხსნას.

1თეს 2,1-8; ფს 138; მთ 23,23-26

გაბედულება მოვიკრიბეთ ჩვენს ღმერთში, რომ გვექადაგა თქვენთვის სახარება 1თეს 2,2

შენს სასუფეველთან შეხვედრის ან მისთვის სასარგებლო მსახურების უწინ, წმირად მოდის განსაცდელი, დამცირება, ტანჯვა. მაშინ ვხედავ, რომ სიხარული, გაბედულება და ძალა, სახარებისა და მამის სიყვარულის ტარებაში რომ ვპოვებ, მხოლოდ შენგან მოდის, იესო. ცრემლები სიხარულით ბრწყინავს, შენ კი მუდამ ჩემს გულში ხარ დამალული.

28 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ., +430, (მ), თ

2019 ოთხშაბათი

1თეს 2,9-13; ფს 138; მთ 23,27-32

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

განუგეშებდით და გარწმუნებდით, რომ გევლოთ ღვთის ღირსად 1თეს 2,12

გმადლობ, უფალო იესო,
ყოველი მშობლისათვის, ყოველი
აღმზრდელისათვის, შენი ეკლესიის
ყოველი მწყემსისათვის, ვინც აგულიანებენ
და თითქმის ევედრებიან შვილებს, რომ
უფლისთვის საამო ცხოვრებით იცხოვრონ,
იმ ცხოვრებით, რომელიც სავსე იქნება და
საუკუნოდ გაგრძელდება. აღავსე მათი
სიტყვა სულიწმიდით, ისე ძლიერ, რომ
მტრის ცდუნებები დაძლიონ.

29 აგვისტო

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

2019 ხუთშაბათი

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

იოანეს მოწაფეებმა... აიღეს მისი ცხედარი და სამარხში ჩაასვენეს მარ 6,29

წმიდაო იოანე ნათლისმცემელო, ნეფის მეგობარო! შენ იყავი მისი წინამორბედი არა მარტო შენი წმიდა და მგზნებარე სიტყვებით, არამედ შენი ცხოვრებითაც და სიკვდილითაც. იესოს მსგავსად, შენც ყველაზე ბნელი დამცირებითა და ტანჯვით მოკვდი; შენი წმიდა სხეულიც, იესოს სხეულის მსგავსად, მოწყალე და სიყვარულით სავსე მკლავებმა აიყვანა. წმიდაო იოანე, გვასწავლე, რომ იესოს მსგავსად მოვკვდეთ, რათა მასთან ერთად აღვდგეთ!

30 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

(17.VIII) წმ. ტბელი აბუსერიძე, XIIIს

2019 პარასკევი

1თეს 4,1-8; ფს 96; მთ 25,1-13

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

ღმერთმა უწმიდურობისკენ კი არა, სიწმიდისკენ მოგვიწოდა 1თეს 4,7

სამყარო ყველას უნდა შეეჩვიოს, უმცირესებსაც კი, რომ იხილოს და მოისმინოს ქმედებები ან დამოკიდებულებები, რომლებსაც ჩვენ, ქრისტიანები, უწმიდურს ვეძახით. სწორედ სახეები ან ქმედებებია, არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას რომ იწიდავენ. რატომ ვუწოდებთ მათ უწმიდურს? ისინი არ გვეხმარება, რომ პატივისცემითა და სიფაქიზით გვიყვარდეს ერთმანეთი, პირიქით, დაგვანახვებს ჩვენსა და სხვის სხეულს, როგორც სიამოვნების საშუალებებს. ისინი სიხარულს აქრობენ გულიდან. ღმერთის ვერ აკურთხებს მათ.

31 აგვისტო

2019 შაბათი

1თეს 4,9-11; ფს 97; მთ 25,14-30

ბატონო, ორი ტანალტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ორი ტალანტიც მოვიგე მთ 25,22

ესაა გამოციდლება, რომელიც ამ დროისთვის გვაქვს, რომ ვიცხოვრობთ. ვინაიდან როდესაც მამისგან ვიღებთ რამე დავალებას და, საყვარელი შვილებივით, უშიშრად და დაუღალავად ვასრულებთ მას, ყველაფერს მის ხელთ გადავცემთ, მაშინ ვგემულობთ მის დასვენებას და მისი მყოფობის სიხარულს.